

ამერბაიჯანი: ადგილობრივთა ჩივილი აგრესიულ პროტესტში გადაიზარდა

Author: [Shahla Sultanova](#)
[Idrak Abbasov](#)

ქუჩური გარჩევის შემდეგ არეულობამ ქალაქ ისმაილიში მწვავე ხასიათი მიიღო.

გასულ კვირას ამერბაიჯანის პოლიციამ რეზინის ტყვიებისა და წყლის ჭავლის გამოყენებით ორჯერ დაშალა დემონსტრაცია. ხელისუფლება დემონსტრაციების მოწყობაში ოპოზიციას ადანაშაულებს, საპროტესტო აქციის მონაწილეების განცხადებით კი მათი პროტესტი სპონტანურად დაიწყო და ის ადგილობრივების უკმაყოფილებით იყო გამოწვეული.

საპროტესტო გამოსვლები ამერბაიჯანის პატარა ქალაქ ისმაილიში მას შემდეგ დაიწყო რაც 23 იანვარს, საღამოს, სასტუმროს მეპატრონე ემილ შამსადინოვსა და ტაქსის მძღოლს შორის ჩხუბი მოხდა. ჩხუბის მიზეზი ავარია გახდა, რის გამოც შამსადინოვმა და სავარაუდოდ კიდევ ერთმა მამაკაცმა ტაქსის მძღოლი ისე სცემეს, რომ ის საავადმყოფოში მოხვდა.

შამსადინოვის სასტუმროსთან შეკრებილმა დაახლოებით 1000 ადამიანმა სასტუმროს ჯერ ქვები დაუშინა შემდეგ კი იქვე მდგარ მის მანქანას ცეცხლი წაუკიდა, ცეცხლის ალი სასტუმროსაც მოედო რის გამოც ის მთლიანად დაინვა.

„პირველად მისი „ჰამერი“ დაგნვით, რომელიც იქვე, შენობასთან იყო გაჩერებული,“ ამბობს ახალგაზრდა სახელად ჯაბირი და თან ცეცხლის ალში გახვეულ სასტუმროს უყურებს. „ცეცხლის ალი „ჰამერიდან“ სასტუმროზე და იქვე მდგარ „შევროლუე კამაროზე“ გადავიდა. შემდეგ მისი სხვა მანქანებიც დაგნვით.“

ამის შემდეგ, აქციის მონაწილეებმა რაიონის გამგებლის ნიზამი ალაკბაროვის შვილის სახლთან გადაინაცვლეს და ალყა შემოარტყეს მას. ალექპეროვი ამერბაიჯანის შრომის მინისტრის ფიზული ალექპეროვის ძმაა. დემონსტრანტების აზრით ალექპეროვი და შამსადინოვი შეკრულები არიან.

მოპიტინგებმა პოლიციის კორდონი გაარღვიეს და სახლის ეზოში შეიჭრნენ, ცეცხლი წაუკიდეს მოტოციკლებს და დაცვის ჯიხურს. ისინი გამგებლის გადადგომას ითხოვდნენ.

ჯაბირის თქმით მათ სახლის დანვაც უნდოდათ, მაგრამ ბენზინი აღარ ეყოთ.

ალექპეროვმა ადგილობრივ ჟურნალისტებთან საუბარში უარყო შამსადინოვთან რაიმე სახის კავშირი და განაცხადა რომ ხანძრის დროს მისი ოთხი ავტომანქანა და ხუთი მოტოციკლი დაინვა.

„ავტო ავარიის გამო ორ ადამიანს შორის მომხდარი ჩხუბის პოლიტიზება არ უნდა მოხდეს,“ განაცხადა ალექპეროვმა.

არეულობის დაცხრომა მოხერხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პოლიციის დანაყოფები მეზობელი ქალაქებიდანაც გამოიძახეს. პოლიციამ დააკავა ათობით ადამიანი, მათ შორის შამსადინოვი და ის პიროვნება, რომელმაც ტაქსისტის ცემაში მიიღო მონაწილეობა.

ჯაბირის თქმით ახალგაზრდებს გარეთ გასვლისთანავე აკავებდნენ. „მე სამი რეზინის ტყვია მომხვდა, მერე მცემეს კიდევ. ახლაც მიჭირს მოძრაობა,“ ამბობს ის. „ახლახან წამოვდექი.“

ისმაილიში არეულობის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე, ბაქოს სავაჭრო ცენტრში მომუშავე მაღაზიების მფლობელებმა დემონსტრაცია მოაწყვეს, მათ ქალაქიდან გასასვლელი ერთ-ერთი ცენტრალური მაგისტრალი გადაკეტეს. ისინი მენეჯერების, მათი აზრით, თვითნებურ და თავხედურ საქციელს აპროტესტებდნენ.

პოლიცია დემონსტრაციას რეზინის ტყვიებისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით ერთი საათის განმავლობაში არბევდა. ათი ადამიანი დააპატიმრეს და ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის განწვევისათვის.

აქციის ერთ-ერთი მონაწილე, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ამბობს რომ მან და მისმა კოლეგებმა საპროტესტო აქციის მოწყობა მას შემდეგ გადაწყვიტეს რაც ხელმძღვანელობამ მათ 3500 მანათის (დაახლოებით 4 300 აშშ დოლარი) გადახდა მოსთხოვა. თითოეული მაღაზიის მფლობელს ეს თანხა სავაჭრო ცენტრის შიდა სატელევიზიო სისტემის დამონტაჟებისათვის უნდა გადაეხადა.

„ჩვენ უბრალო გამყიდველები ვართ. ჩვენ ისედაც ვიხდით იჯარის ფულს თვეში 600 მანათს 40კვ.მ ფართის სარგებლობისათვის, ასევე 450 მანათს ვუხდით სავაჭრო ცენტრის მენეჯერებს. აიღონ და ამ ფულით დაამონტაჟონ ეს სატელევიზიო სისტემა,“ ამბობს ის. „უფროსობა ჩვენს ჩივილს ყურად არ იღებს.“

მამედ მუხთაროვი, კიდევ ერთი მაღაზიის მფლობელი, აცხადებს, რომ მოვაჭრეებს ვერ დააშინებენ. „მათ ჩვენი დამინება უნდოდათ, ხალხში პროვოკატორები შემოაგზავნეს და ცემა დაგვიწყეს. მაგრამ ჩვენ ამას არ შევურიგდებით,“ ამბობს ის. „დღეს იჯარის გადასახადს გავვიზრდიან, ხვალ მოვლენ და რაიმე სხვა საბაბით წაგვართმევენ ფულს.“

ფუად საფაროვი, სავაჭრო ცენტრი „ბინა მოლის“ ადვოკატი IWPR-თან საუბარში აცხადებს, რომ საპროტესტო აქცია არ იყო ისეთი როგორც ჩანდა. ის უარყოფს ბრალდებებს, რომ მენეჯერები მოვაჭრეებთან შეხვედრაზე შეიარაღებული პირების თანხლებით მივიდნენ.

„ჩვენ არ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ აქციის ყველა მონაწილე სავაჭრო ცენტრის მოვაჭრე იყო. მათ შორის ბევრი პროვოკატორი იყო,“ ამბობს საფაროვი. „თუ ისინი იჯარის მომატებას აპროტესტებდნენ, მაშინ რატომ ისმოდა აქციაზე ისეთი შეძახილები როგორც მაგალითად ‘თავისუფლება’?“

პრეზიდენტ ილხამ ალიევის ადმინისტრაციის სოციალურ-პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ალი ჰასანოვმა მსავგის შეფასება მისცა ისმაილიში გამართულ საპროტესტო აქციას და განაცხადა, რომ პოლიტიკურმა ოპოზიციამ ადგილობრივი მოსახლეობა გამოიყენა.

„ისინი ამ ხალხს იყენებენ და არაკანონიერ ქმედებებს ახორციელებენ ადგილობრივი აღმასრულებელი და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ,“ ამბობს ის. „ისინი ამწვავებენ სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, ზიანს აყენებენ საზოგადოებრივ და კერძო საკუთრებას, ასევე ხალხსაც.“

ჰასანოვი მოუწოდებს ისმაილის მოსახლეობას შორს დაიჭიროს თავი „პროვოკატორებისაგან“.

„ისინი ვინც ეს მოაწყო და ვინც ამით სარგებელი მიიღო დაისჯებიან,“ თქვა მან. „იმედი მაქვს რომ ისმაილის კანონმორჩილი მოსახლეობა არ აყვება პროვოკატორებს.“

თავად ისმაილიში კი, მისი მკვიდრი ჯაბირი და მისი ახალგაზრდა მეგობარი თანამებრძოლი ელმირი ირწმუნებიან რომ მათი უკმაყოფილება მიმართული იყო არა აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ, არამედ თავიანთი ქალაქის მმართველობის მიმართ.

„ყელში ამოგვივიდა-შეხედეთ ამ გზას, სულ ტალახია. რატომ? ნუთუ ასფალტსაც არ ვიმსახურებთ?“ ამბობს ჯაბირი. „ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღდეგო ქვეყნის პრეზიდენტის – ჩვენ გვიყვარს ჩვენი პრეზიდენტი და გვიყვარს ჩვენი ქვეყანა. ჩვენ არ ვართ ოპოზიციის. ჩვენ უბრალოდ გვინდა ბოლო მოვუღოთ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას იმ ხალხის მიერ, რომლებიც ჩვენ უნდა გვემსახურებოდნენ.“

ელმირის თქმით ქალაქში უმუშევრობის პრობლემაცაა.

„მე ამისთვის არ ვადანაშაულებ ხელისუფლებას, მე ვადანაშაულებ იმას ვინც ამ ქალაქს მართავს,“ თქვა მან.

იღრაკ აბასოვი IWPR კონტრიბუტორი აზერბაიჯანში. შაჰლა სულთანოვა თავისუფალი ჟურნალისტი.

Location: Azerbaijan

Source URL: <https://iwpr.net/ka/global-voices/%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A>